ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირსა და საქართველოს შორის

საკითხავი ინსტრუქცია

ევროკავშირი და საქართველო სულ მალე, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შედეგად, დაამყარებენ უფრო მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობას. ამ შეთანხმების ერთ-ერთი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა.

როდესაც შეთანხმება ძალაში შევა - რაც ახლო მომავალშია მოსალოდნელი - მის საფუძველზე შეიქმნება ახალი ჩარჩო ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის.

შეთანხმება ასევე უშუალო სარგებელს მოუტანს ქართული ბიზნესის წარმომადგენლებს და მოქალაქეებს. იგი წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდისთვის, ევროკავშირის სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის დამყარების გზით ხელს შეუწყობს საქართველოში მმართველობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მეტ გამჭვირვალეობას და ამ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, და, გარდა ამისა, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნას, დაბალი ფასების არსებობას და მომხმარებელთა დაცვის უკეთესი სტანდარტების შემოღებას.

ქვემოთ, შემდეგ გვერდებზე, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში მოცემული საკითხების შეჯამებას, იმ კომერციულ შესაძლებლობებს, რომლებსაც შეთანხმება გვთავაზობს, და რეფორმებს, რომლებიც საქართველოს ევროკავშირთან დააახლოებს.

წაიკითხეთ ასოცირების შესახებ შეთანხმების მთლიანი ტექსტი. მიმართეთ ექსპორტის საკითხებში დახმარების სამსახურს, თუ ევროკავშირში რაიმეს ექსპორტირება გნებავთ.

თავი 1 საქონლის ბაზარზე დაშვება

პირველი თავის მიზანია საბაჟო გადასახადის გაუქმება საქონლის იმპორტსა და ექსპორტზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური

შეთანხმების (GATT) შესაბამისად. ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე გაუქმდება ყველა საბაჟო გადასახადი საქონელზე, გარდა მცირედი გამონაკლისებისა. საბოლოოდ საქართველო და ევროკავშირი გააუქმებენ საბაჟო გადასახადს მათ იმპორტზე მეორე მხარესთან, შესაბამისად, 100% და 99.9%-ით (საბაზრო ღირებულებით).

საწარმოო საქონლისათვის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე მოიცავს საბაჟო გადასახადის დაუყოვნებელ გაუქმებას ორივე მხარისათვის.

მყისიერად და სრულად მოხდება ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ლიბერალიზება, თუმცა ნივრის იმპორტის გამოკლებით, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა. ევროკავშირი ასევე განახორციელებს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის იმპორტის მოცულობის მონიტორინგს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ აიკრძალება ექსპორტზე მოსაკრებლები.

რაც შეეხება „არასატარიფო ბარიერებს“, რომლებიც დაკავშირებულია არა საბაჟო გადასახადებთან, არამედ (უმეტესად) იმასთან, თუ რა რეჟიმი გამოიყენება პროდუქტების მიმართ მას შემდეგ, რაც მათი იმპორტირება მოხდება, ხელშეკრულება ითვალისწინებს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად წესებს, როგორიც არის:

- „ეროვნული რეჟიმი“ (მოთხოვნა, რომ უცხოური საქონლის მიმართ ბაზარზე ისეთივე რეჟიმი იყოს, როგორც ქვეყნის შიგნით წარმოებული საქონლის მიმართ);
- ვაჭრობისთვის დაუსაბუთებელი ბარიერების აკრძალვა სანიტარიული ან ფიტოსანიტარიული საფუძვლით ან სამრეწველო საქონლისთვის ტექნიკური მოთხოვნების თვალსაზრისით; და
- რეგულირების ზომები სახელმწიფო სავაჭრო საწარმოებთან დაკავშირებით და ა.შ.

ამ თავის განხორციელებას მეთვალყურეობას გაუწევს ვაჭრობის საკითხებში ერთობლივი ასოცირების კომიტეტი.

აქცენტი საბაჟო გადასახადების გაუქმებაზე

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გზას გაუხსნის ვაჭრობას იმპორტზე ყველა გადასახადის დაუყოვნებლივ გაუქმებით. შედეგად ევროკავშირის იმპორტიორები ყოველწლიურად დაზოგავენ 10.8 მილიონ ევროს, ხოლო ქართველი იმპორტიორები - დაახლოებით 84.2 მილიონ ევროს ევროკავშირიდან იმპორტზე.

სოფლის მეურნეობა

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უფრო მიმზიდველი გახდება ევროკავშირის ბაზარზე იმის წყალობით, რომ გაუქმდება ევროკავშირის იმპორტზე გადასახადი 5.7 მილიონი ევროს ოდენობით ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და 0.5 მილიონ ევროს ოდენობით - გადამუშავებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ახალი საბაზრო შესაძლებლობები ევროკავშირში და წარმოების უფრო მაღალი სტანდარტები საქართველოში სტიმულს მისცემს ინვესტიციებს, სოფლის მეურნეობის მოდერნიზებას და გააუმჯობესებს შრომის პირობებს.

მრეწველობა

ორივე მხარე მოახდენს სამრეწველო პროდუქტებით ვაჭრობის სრულ ლიბერალიზებას.

თავი 2 სავაჭრო ზომები

ამ თავში განიხილება ვაჭრობის სფეროში დაცვის ტრადიციული ინსტრუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კანონმდებლობაში (ანტიდემპინგური, სუბსიდიებისა და დაცვითი ზომები). ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია, რომ უნდა დადასტურდეს სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების პატივისცემის საჭიროება და, ამავე დროს, დაინერგოს მარეგულირებელი წესები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინსტრუმენტები გამოიყენებოდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და რომ ყველა მხარეს სამართლიანად ეპყრობოდნენ. ამგვარი დებულებები უკვე სტანდარტს წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობაში.

მაგალითად, ნებისმიერი დაწესებული საკომპენსაციო გადასახადის ოდენობა იმაზე ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე დემპინგის ზღვარი ან სუბსიდიის მთლიანი ოდენობა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ნაკლები გადასახადი იქნება ადეკვატური ადგილობრივი წარმოებისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, ზომების დაკისრებამდე მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საზოგადოებრივი ინტერესი, რათა შეაფასონ სხვადასხვა ინტერესი და შეისწავლონ ოპერატორებზე მოსაკრებლების სავარაუდო ზემოქმედება.

მოკვლევის პროცესის გამჭვირვალეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული დებულებები მოიცავს დამატებით მოთხოვნებს შეტყობინებასთან, მიგნებების გამჟღავნებასთან და კონსულტაციების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

თავი 3 ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში

ამ თავის მიზანია, შემცირდეს „ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერები“, ანუ ტექნიკური რეგულაციები, სტანდარტები, შესაბამისობის შეფასების პროცედურები და მსგავსი მოთხოვნები, რომლებიც ეხება სამრეწველო საქონელს.

მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერების შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე და თანხმდებიან, ითანამშრომლონ ვაჭრობის წინაშე არსებული ტექნიკური ბარიერების საკითხებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ყურადღების კონცენტრირება უმნიშვნელო გადახრებზე ტექნიკურ მოთხოვნებში. მხარეები აღრმავებენ თანამშრომლობას რეგულირების სფეროში.

საქართველო თანდათანობით შესაბამისობაში მოიყვანს თავის ტექნიკურ რეგულაციებს, სტანდარტებსა და შესაბამის ინფრასტრუქტურას ევროკავშირის ნორმებთან. მომავალში მხარეები გამართავენ მოლაპარაკებას შესაბამისობის შეფასებისა და სამრეწველო პროდუქტების მიღების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე ვაჭრობა მხარეებს შორის შერჩეულ სექტორებში იწარმოებს იმავე პირობებით, რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის.

ეტიკეტირებასთან დაკავშირებული დებულებების მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი დაბრკოლებების შექმნა ვაჭრობისთვის და დაუსაბუთებელი მოთხოვნები, იმპორტირებული პროდუქტების ეტიკეტებზე დასატანი აუცილებელი ინფორმაციის მინიმუმამდე დაყვანის გზით.

თავი 4 სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

ამ თავის მიზანია ცხოველებითა და მცენარეებით, ასევე ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით ვაჭრობის ხელშეწყობა და, ამავე დროს, მხარეების მხრიდან უსაფრთხოების სათანადო დონის უზრუნველყოფა. მხარეები შეეცდებიან, მიაღწიონ ერთიან გაგებას ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს ევროკავშირის ნორმებს და ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) მიერ შემოღებულ სიახლეებს. საქართველო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს კანონმდებლობას შესაბამისობაში მოიყვანს ევროკავშირის კანონმდებლობასთან (რომელიც ემყარება საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებს) საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვან კონკრეტულ სექტორებში. ექსპერტთა მიერ სათანადო შეფასებისა და დამტკიცების შემდეგ ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ზომები (საკანონმებლო, ადმინისტრაციული შესაძლებლობა და განხორციელება) მიჩნეული იქნება

ევროკავშირში მოქმედ ზომებთან შესაბამისად. სტანდარტების ამგვარი ეკვივალენტურობა, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს საქართველოს ხელისუფლებას, იყოს ერთადერთი პასუხისმგებელი მხარე ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტის ნებართვის გაცემაზე. ანუ ნებადართული გახდება ევროკავშირის ბაზარზე იმ ქართული პროდუქტების შეტანა და ევროკავშირის შიდა პროდუქტების თანასწორად გაყიდვა, რომლებიც ამჟამად არ დაიშვება ევროკავშირის ბაზარზე სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიზეზებით (ე.ი. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, მათ შორის რძის ნაწარმი და ა.შ.).

პროცესი, რომელიც მიგვიყვანს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების ეკვივალენტურობის აღიარებისკენ, ეფუძნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სტანდარტების შესახებ შეთანხმებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, და მოიცავს:

- საქართველოს პირობას, მოიყვანოს სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან და ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და უზრუნველყოს ინსტიტუციური/ადმინისტრაციული შესაძლებლობა მის განსახორციელებლად;
- ვაჭრობის ხელშემშლელ საკითხებზე სწრაფი კონსულტირების მექანიზმი იმ საქონელთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სანიტარიული და ფიტოსანიტარიულ სტანდარტები; და
- სწრაფი განგაშისა და ადრეული გაფრთხილების სისტემა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით გადაუდებელი სიტუაციებისთვის; გარკვეულ პირობებში საქართველომ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის შესაბამის ადრეული გაფრთხილების სისტემებში.

ევროკავშირი და საქართველო ჩამოაყალიბებენ სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებში სპეციალურ ქვეკომიტეტს ამ თავის განხორციელების და რეფორმების მეთვალყურეობის მიზნით. ქვეკომიტეტი მონიტორინგს გაუწევს კანონმდებლობის დაახლოების პროცესს და განხორციელების უნარს, გასცემს რეკომენდაციებს, შეიმუშავებს პროცედურებს და უზრუნველყოფს ფორუმს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული საკითხების მოსაგვარებლად. ქვეკომიტეტის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება, აგრეთვე, შემოწმების პროცედურები, კომპანიათა სიების შედგენა, ასევე შემოწმებათა დონეები და ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

თავი 5 საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობა

ამ თავის მიზანია საბაჟო სფეროში და მასთან დაკავშირებულ საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება და საბაჟო მოთხოვნებისა და ფორმალობების გამარტივება და, ამავე დროს, საბაჟო სფეროში თაღლითობის, მაგალითად, პროდუქტის წარმომავლობის შესახებ არასწორი დეკლარაციების მეშვეობით, თავიდან აცილება.

საბაჟო სფეროში ამჟამად არსებულ თანამშრომლობაზე დაყრდნობით აღნიშნული თავი ხელს უწყობს კანონმდებლობისა და პროცედურების უფრო მეტად დაახლოებას თანამედროვე, საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებული საბაჟო და ვაჭრობის წახალისების პრაქტიკისა და პროცედურების გამოყენების და უფრო ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მეშვეობით.

საბაჟო საკითხებში ორმხრივი ადმინისტრაციული დახმარების შესახებ ოქმი მიზნად ისახავს საბაჟო კანონმდებლობის მართებული გამოყენების და დარღვევებთან ბრძოლის უზრუნველყოფას. ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, მიაწოდონ ერთმანეთს მთელი შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მოკვლევებისა და შესწავლების ჩასატარებლად და ერთმანეთის ოფიციალური მოხელეებისთვის შესაძლებლობის მისაცემად, მონაწილეობა მიიღონ მეორე მხარის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ მოკვლევებში.

ეს თავი და ოქმი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, თუ გავითვალისწინებთ იმ ძალზე ხელსაყრელ (საბაჟო მოსაკრებლისაგან განთავისუფლებულ) სავაჭრო ურთიერთობას, რომელშიც საბაჟო ხელისუფლება საკვანძო როლს ასრულებს იმის უზრუნველყოფაში, რომ მხოლოდ საქართველოს ან ევროკავშირის საქონელმა (გარემოებათა მიხედვით) ისარგებლოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებებით. საბაჟო ხელისუფლებებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობის შემთხვევაში ზემოხსენებული პრეფერენციები შესაძლოა დროებით შეჩერდეს, რაც წარმოადგენს დაცვის საშუალებას საბაჟო სფეროში სავარაუდო თაღლითობის წინააღმდეგ.

ამ თავის განხორციელებას და ადმინისტრირებას მონიტორინგს გაუწევს საბაჟო საკითხებში სპეციალური ქვეკომიტეტი.

თავი 6 დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია

ამ თავის მიზანია მეტი შესაძლებლობების შექმნა ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესებისთვის მომსახურებებით ვაჭრობაში და საქართველოს მაქსიმალურად

ინტეგრირება ევროკავშირის მომსახურებათა ბაზარზე. აღნიშნული თავი უზრუნველყოფს მნიშვნელოვან პირობებს მომსახურების საზღვრებს გარეთ მიმწოდებლებისთვის. გარდა ამისა, განსხვავებით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ სხვა შეთანხმებებისგან, დაფუძნების შესახებ დებულებები თანაბრად ეხება როგორც მომსახურების, ისე არა-მომსახურების სექტორებს და მხარეთა ბაზრებს ხსნის ეროვნულ რეჟიმზე დამყარებული ფართო საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის. ეს ვალდებულებები ექვემდებარება ზოგიერთ მცირე შეზღუდვას (იმ სექტორების „ნეგატიური ჩამონათვალის“ ფორმით, რომლებსაც არ ეხება ლიბერალიზაცია, რაც უზრუნველყოფს ახალი მომსახურებების ავტომატურ ჩართვას).

მე-6 თავი ასევე ითვალისწინებს გადაადგილების თავისუფლებას ბიზნესის მიზნებით ფიზიკური პირების გარკვეული კატეგორიებისთვის (როგორიც არის ძირითადი პერსონალი, ტრენინგებში მონაწილე კურსდამთავრებულები, კონტრაქტების საფუძველზე მომსახურების მიმწოდებლები და დამოუკიდებელი პროფესიონალები) რიგი შეზღუდვების და კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით საქართველოს ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა ბაზარზე დაშვების პირობებისა, დებულებები შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების, საფოსტო და საკურიერო მომსახურების, საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის, ფინანსური მომსახურების და ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ მიზნად ისახავს გამჭვირვალეობის და იურიდიული სიზუსტის გაზრდას მომსახურების მიმწოდებლებისთვის და ინვესტორებისთვის საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია „საზღვრის უკან“ არსებულ დაბრკოლებებზე მომსახურებებით ვაჭრობისათვის, ანუ იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომსახურებათა გაწევაზე და დაფუძნებაზე, რაც ჩვეულებრივ უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ჩარჩოს და ბიზნესის რეგულირებას (განსხვავებით საქონლით ვაჭრობისაგან).

ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში მომსახურებებთან დაკავშირებული დებულებები მოიცავს ვალდებულებას საქართველოს მხრიდან, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს ფინანსურ, ელექტრონული კომერციის, საფოსტო და საკურიერო და საერთაშორისო საზღვაო მომსახურებებთან დაკავშირებული თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის ამჟამინდელ და მომავალ კანონმდებლობასთან. ეს განაპირობებს ევროკავშირის ბაზარზე ქართველი მომსახურების მიმწოდებლების შემდგომ დაშვებას. ეს ასევე ნიშნავს, რომ ინვესტორებს ევროკავშირიდან აღნიშნულ სექტორებში საქართველოში ისეთივე მარეგულირებელი გარემო დახვდებათ, როგორც ევროკავშირში.

თავი 7 მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შესახებ დებულებები წარმოადგენს სტანდარტულ დაცვით საშუალებებს, მათ შორის ზომების გატარების შესაძლებლობას ფინანსური სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

თავი 8 საჯარო შესყიდვები

ამ თავში განსაზღვრულია მკაფიო და გამჭვირვალე მინიმალური წესები (ევროკავშირის პრაქტიკის საფუძველზე) სატენდერო პროცედურებთან დაკავშირებით სამუშაოების, მომსახურებისა და მიწოდების სახელმწიფო ხელშეკრულებების დასადებად. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ვრცელდება ხელშეკრულებებზე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, რომელთა ღირებულება აღემატება გარკვეულ დაწესებულ ზღვრებს. მომავალ წლებში საქართველო მიიღებს ევროკავშირის ამჟამინდელ და მომავალ კანონმდებლობას საჯარო შესყიდვების სფეროში, რათა საქონლის და მომსახურებათა მიმწოდებლებს საქართველოდან და ევროკავშირიდან ჰქონდეთ ერთმანეთის შესყიდვების ბაზრების თანაბარი მისაწვდომობა. როგორც კი კანონმდებლობის დაახლოების პროცესი დასრულდება, მხარეები შეძლებენ განიხილონ ერთმანეთისთვის დაწესებულ ზღვრულ ღირებულებაზე დაბალი ღირებულების საჯარო ტენდერებში დაშვების შესაძლებლობა. საჯარო შესყიდვების წესები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანი კონკურენციის საბაზისო წესებთან, რასთან დაკავშირებითაც ევროკავშირმა და საქართველომ ვალდებულებები აიღეს ცალკე თავში.

თავი 9 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

ამ თავში მოცემულია დებულებები ინტელექტუალური საკუთრების კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებით, როგორიც არის საავტორო უფლება, დიზაინი, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და გეოგრაფიული აღნიშვნები, რომლებიც განავრცობს ევროკავშირის და საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ ხელშეკრულებით (TRIPS) ნაკისრ ვალდებულებებს. აღნიშნულ თავში არის მნიშვნელოვანი ნაწილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა აღსრულების შესახებ ევროკავშირის შიდა წესებზე დაყრდნობით, მათ შორის იმის უზრუნველყოფის მოთხოვნა, რომ ევროკავშირიდან ან საქართველოდან არ გავიდეს და არ შევიდეს ფალსიფიცირებული პროდუქტები ან პროდუქტები, რომლებიც სხვა მხრივ ლახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

ყველა სასოფლო-სამეურნეო გეოგრაფიულ აღნიშვნას (არა მარტო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გეოგრაფიულ აღნიშვნებს) ერთნაირი მაღალი დონის დაცვა ექნება ევროკავშირსა და საქართველოში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

მოიცავს საქართველო-ევროკავშირის შეთანხმებას გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ, რომელიც ძალაშია 2012 წლის 1 აპრილიდან და ითვალისწინებს რეგულარულ კონსულტაციებს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების ჩამონათვალის განსაახლებლად.

თავი 10 კონკურენცია

ამ თავში მხარეები კრძალავენ და კისრულობენ ვალდებულებას, არ დაუშვან გარკვეული პრაქტიკა და ტრანზაქციები, რომლებმაც შეიძლება ხელყონ თავისუფალი კონკურენცია და ვაჭრობა, მაგალითად, კარტელები, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება და ანტიკონკურენციული შერწყმები, რის მიმართაც აღსრულების ქმედით ზომებს გამოიყენებენ.

მხარეები თანხმდებიან, იქონიონ ეფექტიანი ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონები და ქმედითი ორგანო კონკურენციის სფეროში, ასევე დაიცვან პროცედურული სამართლიანობა და ფირმების უფლებები დაცვაზე. კონკურენციის შესახებ კანონი იმოქმედებს სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოებზე, იმ პირობით, რომ ეს არ შეუშლის მათ ხელს მათზე დაკისრებული საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის კონკრეტული დავალებების შესრულებაში. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ ორივე მხარის წარმომადგენელ კომპანიებს ჰქონდეთ ერთმანეთის ბაზრებზე სამართლიანი და თანაბარი დაშვება, რომელსაც დაბრკოლებას არ შეუქმნის მონოპოლიური პრაქტიკის შედეგად წარმოშობილი დისკრიმინაცია.

აღნიშნულ თავში ჩამოყალიბებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის კონსულტაციებისა და თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები.

ევროკავშირი და საქართველო ასევე თანხმდებიან, უზრუნველყონ გამჭვირვალეობა საქონლისა და მომსახურებებისთვის სუბსიდიებთან დაკავშირებით. ამ მიზნის მისაღწევად თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს ორ წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში გაცემული სუბსიდიების მთლიანი ოდენობის, ტიპებისა და სექტორული განაწილების შესახებ, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, მხარეებმა ერთმანეთს უნდა წარუდგინონ დამატებითი ინფორმაცია მომსახურებებთან მიმართებაში გაცემული სუბსიდიების შესახებ.

თავი 11 ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში

ამ თავში ლაპარაკია ელექტროენერგიაზე, ნედლ ნავთობზე და ბუნებრივ აირზე (აიროვან მდგომარეობაში ან თხევადი აირის სახით) და მისი დებულებები ექვემდებარება დავების მოგვარების პროცედურას.

აღნიშნული თავის სამი ძირითადი კომპონენტი ეხება ვალდებულებებს შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- განფასება: მხარეები შექმნიან შესაძლებლობას, რომ ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის შიდა ბაზრებზე მოქმედებდეს საბაზრო ფასები და არ მოახდენენ ამ ინდუსტრიის ფასთა რეგულირებას. ისინი არ დააწესებენ ენერგოპროდუქტების ექსპორტზე ფასებს, რომლებიც იქნება შიდა ბაზრებზე არსებულ ფასებზე მეტი (ორმაგი განფასების აკრძალვა);
- ენერგოპროდუქტების ტრანსპორტირება და ტრანზიტი: ამ თავში ხელახლა არის ჩამოყალიბებული ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმებით (GATT) და ენერგეტიკული ქარტიის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები. აკრძალულია ტრანზიტის შეფერხება ან მეორე მხარისათვის განკუთვნილი, ტრანზიტით გადაცემული ენერგოპროდუქტების მითვისება. დავების მოგვარების დაჩქარებული პროცედურა მხარეებს მისცემს შესაძლებლობას, მოახდინონ სწრაფი რეაგირება, თუ აღნიშნული წესები დაირღვევა. ადრეული გაფრთხილების მექანიზმი უზრუნველყოფს დიპლომატიური კონსულტაციების შესაძლებლობას მიწოდების უსაფრთხოების მხრივ პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში; და
- იურიდიულად განცალკევებული და ფუნქციონალურად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონკურენცია და ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება.

თავი 12 გამჭვირვალეობა

ამ თავში მოცემულია ძირითადი დებულებები გამჭვირვალეობასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ვაჭრობის სფეროში ორმხრივ ურთიერთობებს და ვაჭრობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებას ევროკავშირსა და საქართველოში. აღნიშნული თავის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს (გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს ხელისუფლებაში, საწარმოებს და ექსპორტიორებს, ინვესტორებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებას) ხელი მიუწვდებოდეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ინფორმაციაზე და ხდებოდეს მათთან კონსულტირება ან ისინი სხვა სახით იყვნენ ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კერძოდ, აღნიშნული თავი ითვალისწინებს:
- ვალდებულებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს, გამოთქვან თავიანთი შენიშვნები შემოთავაზებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, და გამჭვირვალე ინფორმაცია ვაჭრობის სფეროში პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ;
- საკონტაქტო ერთეულების შექმნა რეგულაციების გამოყენებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხების გასაცემად; და
- სათანადო პროცესის მოთხოვნები ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებში ადმინისტრაციულ საქმისწარმოებასთან მიმართებაში, მათ შორის ადმინისტრაციული საქმეების გადასინჯვა ან აპელაცია (მაგ. საბაჟო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა) ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში.

თავი 13 ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

ამ თავს არსებითი როლი აკისრია იმის უზრუნველყოფაში, რომ ვაჭრობის ლიბერალიზებისას სრულად იქნეს გათვალისწინებული სოციალური ზემოქმედება და ზემოქმედება გარემოზე და მხარეთა ვალდებულებები აღნიშნულ სფეროებში. ეს თავი ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების (პროფესიული კავშირების, დამსაქმებელთა ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, გარემოსდაცვითი ინტერესთა ჯგუფების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და ა.შ.) ფართო მონაწილეობას ვაჭრობის ლიბერალიზების პროცესში, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვაჭრობის სფეროს პოლიტიკა ითვალისწინებდეს ინტერესთა ბალანსს.

მე-13 თავის ძირითადი ელემენტებია:

- მხარეთა ორმხრივი ვალდებულება, ეფექტიანად განახორციელონ მათ მიერ რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ,,ღირსეული შრომის პროგრამა";
- მხარეთა ვალდებულება, განახორციელონ ყველა მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმება, რომელთა მხარეებსაც ევროკავშირი და საქართველო წარმოადგენენ, და ხელი შეუწყონ მდგრად სატყეო და თევზსარეწ მართვას;
- დადასტურება მხარეთა უფლებისა, მოახდინონ რეგულირება და, ამავე დროს, მიზნად დაისახონ გარემოს და შრომის დაცვის მაღალი დონის მიღწევა, ასევე მხარეთა ვალდებულება, თავი შეიკავონ ამ სფეროებში შიდასახელმწიფოებრივ კანონებზე უარის თქმის ან მათი გაუქმებისაგან ვაჭრობის ან ინვესტირების წახალისების მიზნით; და

- მონიტორინგის ძლიერი მექანიზმები, მათ შორის რეგულარული სამთავრობო შეხვედრები და გაძლიერებული კონტროლი საზოგადოების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მეშვეობით. თითოეულ მხარეს ეყოლება სამოქალაქო საზოგადოებრივი საკონსულტაციო ჯგუფი ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების საკითხებში. ეს ჯგუფები უნდა შედგებოდეს სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებისგან და მათში დაბალანსებული უნდა იყოს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მხარეების მონაწილეობა. საკონსულტაციო ჯგუფები შეიკრიბებიან ყოველწლიურად სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი დიალოგის ფორუმზე, რათა განიხილონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მდგრადი განვითარების ასპექტების განხორციელება.

თავი 14 დავების მოგვარება

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებული დავების მოგვარების მექანიზმი ემყარება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დავების მოგვარების პროცედურებს, თუმცა ითვალისწინებს უფრო სწრაფ პროცედურას, რომლის პირველი ნაბიჯია კონსულტაცია მხარეებს შორის ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღწევად. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა წარედგინება საარბიტრაჟო კომისიას. კომისიაში შევა სამი ექსპერტი, რომლებსაც აირჩევენ მხარეები ან რომლებიც შერჩეულნი იქნებიან კენჭისყრის მეშვეობით წინასწარ შეთანხმებული სიიდან.

აღნიშნული კომისია მიიღებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს და გამართავს საჯარო მოსმენას. დაინტერესებულ მხარეებს ან კომპანიებს ექნებათ საშუალება, კომისიას წარუდგინონ „სასამართლოს მეგობრის“ (*amicus curiae*) დასკვნები და აცნობონ საკუთარი მოსაზრებები.

კომისიამ მისი შექმნიდან 120 დღის განმავლობაში უნდა გამოიტანოს სავალდებულო გადაწყვეტილება. მხარემ, რომელმაც, როგორც მიჩნეული იქნება, დაარღვია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის დამყარება დროის გონივრულ პერიოდში (რომელიც უნდა შეთანხმდეს მხარეებს შორის ან უნდა დააწესოს არბიტრმა).

თუ აღნიშნული პერიოდის ბოლოს მეორე მხარე მიიჩნევს, რომ დარღვევა კვლავ სახეზეა, მას შეუძლია საკითხი დააბრუნოს კომისიაში და თუ კომისია დათანხმდება, მას უფლება ექნება, დააკისროს მეორე მხარეს პროპორციული სანქციები.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ასევე ითვალისწინებს მედიაციის მექანიზმს საქონლით ვაჭრობისთვის ხელის შემშლელი საკითხების მოსაგვარებლად. ამ მექანიზმის მიზანი არა ზომის კანონიერების განხილვაა,

არამედ ბაზარზე დაშვების პრობლემებთან დაკავშირებით სწრაფი და ეფექტიანი გადაწყვეტილებების გამონახვა.

თავი 15 დაახლოებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

ეს დებულებები აყალიბებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სფეროებში საქართველოს მიერ თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ზოგად წესებს. ორმხრივი ვალდებულებები უზრუნველყოფს პროცესის და გამომდინარე მოვალეობების მკაფიოდ ჩამოყალიბებას, ასევე ინფორმაციის გაცვლას და კონსულტაციებს, რაც აუცილებელია პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის.

ოქმი I ,,საქონლის წარმოშობის" ცნების განსაზღვრა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდები

წარმოშობის წესები განსაზღვრავს პროდუქტების ,,ეკონომიკურ წარმომავლობას", რათა შესაძლებელი იყოს ვაჭრობის (იმპორტის/ექსპორტის) პროცესში მათ მიმართ მოქმედი მოვალეობების დადგენა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში წესები ემყარება პრეფერენციული ვაჭრობის კრიტერიუმებს, ანუ შესაბამისი პარტნიორის საქონლისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი რეჟიმის დაწესებას. განხორციელება აკისრიათ მხარეთა საბაჟო უწყებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ მხოლოდ ევროკავშირის ან საქართველოს საქონელმა (გარემოებათა მიხედვით) ისარგებლოს პრეფერენციული რეჟიმით.

ოქმი II ორმხრივი ადმინისტრაციული დახმარება საბაჟო საკითხებში

ამ ოქმში ჩამოყალიბებულია სამართლებრივი ჩარჩო მხარეთა ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობისათვის საბაჟოზე დარღვევებისა და გაყალბების წინააღმდეგ საბრძოლველად.